საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის მარტი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის მარტის თვეში.

საქართველოს კანონი ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“

2021 წლის 16 მარტს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“. აღნიშნული ცვილებების საფუძველზე, კანონის 31[1] მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემების თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით – სხვა პირები.“

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 040170310.05.001.020283

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 18 მარტს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2021 წლის 16 მარტს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების თანახმად შეიცვალა კანონის რამდენიმე მუხლი, რომლებიც ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. სხვა მრავალთან ერთად, ცვლილებები შეეხო მათ შორის ბრენდირების ქვეპუნქტს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მარეგულირებელ პუნქტს, თვითშეფასების, შემცვლელი მასწავლებლის, მცირეკონტიგენტიანი სკოლის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსის, სპეციალიზებული სკოლის, ზოგადი განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების წესსა და სხვა მუხლებს, რომლებზეც მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ მაქსიმალურად იქნეს ყურადღება გამახვილებული.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად გაცნობა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020250

ზემოაღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 18 მარტს.

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“

2021 წლის 16 მარტს, ცვლილებები განხორციელდა საქართელოს კანონში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“. მოცემულ კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან უნდა აღინიშნოს ცვლილება, რომლის საფუძველზეც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო კულტურისა და სპორტის სფეროში – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კი ჩაითვალა

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლეებად საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის თანახმად, ცვლილებები შევიდა სხვადასხვა კანონებში, სადაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, სამინისტრო მოხსენებული იქნება ახალი სახელით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 010240010.05.001.020245

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 18 მარტს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2021 წლის 18 მარტს საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 163^4 მუხლი:

„მუხლი 163^4. აუქციონის ფორმით პრივატიზებული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შეცვლის ან გაუქმების წესი, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიიდან ან/და პანდემიიდან გამომდინარე

1. მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) მერი უფლებამოსილია არაუგვიანეს 2021 წლის 1 ოქტომბრისა, მუნიციპალიტეტის ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონის ფორმით პრივატიზებული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) ქონების მიმღებისთვის:

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ა) ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის თაობაზე, მათ შორის, ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ;

ბ) იმ ვალდებულების გაუქმების თაობაზე, რომლის შესრულებამაც აზრი დაკარგა;

გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობის შემსუბუქების თაობაზე, მათ შორის, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) მერის გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობა ან მისი შესრულების შეფერხება განპირობებულია უშუალოდ ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიის ან/და პანდემიის გამო დადგენილი მარეგულირებელი ნორმებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული შეღავათის სახე და ზომა იმ გავლენის პროპორციული უნდა იყოს, რომელიც ამავე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულმა მარეგულირებელმა ნორმებმა საინვესტიციო ან ფინანსური პირობის შესრულებაზე მოახდინა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) მერის გადაწყვეტილება არ გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ გადასახდელი ფასის შემცირებას.“.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 010250000.04.001.017999

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2021 წლის 22 მარტს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №41

2021 წლის 26 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში თანხის ანგარიშზე შეტანის და ანგარიშიდან გატანის წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, სათამაშო ანგარიშზე თანხის შეტანა და ანგარიშიდან თანხის გატანა სავალდებულოა ლატარიის ორგანიზატორისა და

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის მფლობელებისთვის, რომლებიც საქმიანობას სისტემურ-ელექტრონული ფორმით ახორციელებენ.

ზემოაღნიშნული წესი დეტალურად განსაზღვრავს ანაგარიშსზე თანხის შეტანისა და გატანის პირობებს და ოპერატორის ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ბრძანებით დამტკიცებული წესის დარღვევა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას, ხოლო ლატარიის ორგანიზატორის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას და ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017446

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №42

2021 წლის 26 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა მინიტრის ბრძანება №42-ის საფუძველზე დამტკიცდა სამორინის მოწყობის ნებართვისა და აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელების მიერ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო სააღრიცხვო ფორმების წარმოების წესი. აღნიშნული წესი ადგენს სამორინის და აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სააღრიცხვო ფორმების წარმოების წესსა და ფორმებს და ავალდებულებს აღნიშნული ნებართვის მფლობელებს, რომ თავიანთი საქმიანობა განახორციელონ ამ ბრძანებით დადგენილი წესითა და სააღრიცხვო ფორმების მეშვეობით. აღნიშნული ბრძანება ასევე მოიცავს შესაბამის ტერმინთა განმარტებას, ნებართვის მფლობელის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სააღრიცხვო ფორმების წარმოების წესთან დაკავშირებით და ა.შ.

ზემოაღნიშნულ წესს დანართის სახით ერთვის სალაროს გახსნის/დახურვის აღრიცხვის ფორმა, სალაროში სეიფიდან ან სალაროდან სეიფში თანხის/ჟეტონის დამატების/დაბრუნების აღრიცხვის ფორმა, მაგიდის გახსნის/დახურვის აღრიცხვის ფორმა, სალაროს დათვლის აღრიცხვის ფორმა და ჩაის აღრიცხვის ფორმის ნიმუში.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე:https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017447

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №43

2021 წლის 26 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოთამაშის რეგისტრაცია, ელექტრონულად იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია განახორციელოს აღნიშნული წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხოლო მოთამაშის პირისპირ (არაელექტრონულად) იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფი-კაციისა და ვერიფიკაციის წესის შესაბამისად."

ზემოაღნიშნული წესით ასევე განსაზღვრულია ოპერატორის ვალდებულება, რომ, თამაშობაში მონაწილეობის მისაღებად საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს მხოლოდ ამ წესის შესაბამისად იდენტიფიცირებულ და ვერიფიცირებულ პირებთან. გარდა ხსენებულისა, აღნიშნული წესი ასევე არეგულირებს იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის საფუძვლებს, ვებგვერდზე მოთამაშის რეგისტრაციას, ოპერატორის ვალდებულებებს და ა.შ.

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017448

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება

2021 წლის 5 და 16 მარტს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ფუნდამენტურად შეიცვალა ბრძანების მიერ დარეგულირებული საკითხები, რომელთაგანაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების რეგულაცია, დეკლარაციაში შესატანი მონაცემების მარეგულირებელი მხულები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის, საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის, საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობის, საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისთვის (დაქირავებულისთვის) ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნებისა და საქონლის იმპორტის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული საქონლის სატრანსპორტო და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების ხარჯების მარეგულირებელი ნორმები.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, ბრძანების სხვა მუხლებსაც შეეხო ცვლილებები, რომელთა შესახებაც მნიშვნელოვანია რომ ყურადღება მაქსიმალურად იქნეს გამახვილებული.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდებით: 200090000.22.033.017456; 200090000.22.033.017452; 200090000.22.033.017451

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 17 მარტს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №32/04

2021 წლის 9 მარტს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი და ძალადაკარგულად გამოცხადდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესი არეგულირებს საფინანსო პროდუქტების შეთავაზებისა და მიწოდებისას, ასევე, საფინანსო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესებსა და პრინციპებს, რაც მოიცავს ასევე, სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს. აღნიშნული წესის შემუშავების მიზანია საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, ასევე, საფინანსო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვისა და ბაზარზე არსებული საფინანსო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი საფინანსო პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების შემცირებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრძანებით დამტკიცებული წესი ასევე არეგულირებს ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებას მომხმარებლებისათვის საფინანსო პროდუქტზე ინფორმაციის მიწოდებისას, ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები ხელშეკრულების დისტანციურად დადებისას და მომხმარებლებისათვის სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების გამჟღავნების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან დებულებებს.

ზემოაღნიშნული ბრძანების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 20020000.18.011.016549

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 აპრილს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №002/02

2021 წლის 16 მარტს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების,

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის N002 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების თანახმად ბრძანების პირველ მუხლს დაემატა მე-15 პუნქტი, რომელიც არეგულირებს სააგენტოს უფლებამოსილებას თავის საქმიანობაში გამოიყენოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრძანებას ასევე დაემატა სხვა რიგი მუხლები და ასევე ბრძანების მე-13 მუხლი, რომელიც არეგულირებს საპენსიო შენატანის შეცდომით, ნაკლებობით ან ზედმეტად გადახდის წესს სრულად ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016008

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდება 2021 წლის 20 აპრილს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №38/04

2021 წლის 19 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №38/04-ის საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №17/04 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, შეიცვალა ბრძანების სათაური და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი დირექტორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“. ასევე, ბრძანებაში განხორციელდა სხვა რიგი ცვლილებები, რომელთაგანაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მე-3 მუხლის დამატება, კერძოდ, ფულადი ჯარიმები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს კანონმდებლობის, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, წერილობითი მითითებების, შემოწმების/ზედამხედველობის შედეგად განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის ან/და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებების შეუსრულებლობისათვის. ბრძანება დეტალურად ასახავს სანქციების ოდენობასა და მისი დაკისრების წესსაც.

ზემოაღნიშნული ბრძნების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge/, სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016554

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 5 აპრილს.

Legal Consulting Center LLC
add: A. Melashvili st. #22. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge